მომავალ დამსაქმებელთა წინარწმენა ყოფილი არასრულწლოვანი პატიმრების მიმართ.

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერება და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი

სტუდენტი: ანი მჭედლიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანი მჭედლიშვილი

14 ივნისი 2023 წ.

აბსტრაქტი

საზოგადოებისთვის წინარწმენა ყოველთვის წარმოადგენს პრობლემას. აღნიშნული საკითხი ხშირად არის კვლევის საგანი სხვადასხვა ასპექტთან მიმართებაში. წინარწმენა ადამიანთა განსხვავებული ჯგუფებისთვის წარმოადგენს ბარიერს ამა თუ იმ სფეროში და ეს ბარიერები შესაძლოა იყოს ხილული ან ფარული. წინამდებარე კვლევის მიზანია გაირკვეს ყოფილი პატიმრების მიმართ დამოკიდებულება მომავალ დამსაქმებლებში. კვლევაში აღწერილია თუ რა მნიშვნელობა გააჩნია წინარწმენის ემოციურ ფაქტორს წარსულში ნასამართლევი ადამიანების სამსახურში აყვანის სურვილზე და მათ მიმართ ნდობაზე. წინარწმენის ემოციური დამოკიდებულება შესწავლილია გრძნობების თერმომეტრით, ხოლო სამსახურში აყვანის სურვილისა და ნდობის ფაქტორები შესაბამისი კითხვებით. განსაზღვრულია ასევე დაბალი და მაღალი სამსახურეობრივი პოზიციის მიმართ დამოკიდებულებაც, თუ რამდენად მიიღებდნენ არასრულწლოვნების ასაკში ნასამართლევ პირს როგორც დაბალ ასევე მაღალ პოზიციაზე და ნდობის ფაქტორი ამავე პოზიციების მიხედვით. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებმა, როგორც მომავალმა დამსაქმებლებმა (*N=127*). საკვლევ კითხვებს წარმოადგენდა: მოქმედებს თუ არა წინარწმენის ემოციური ფაქტორი არასრულწლოვნებაში ნასამართლევი პირის დაბალ ან მაღალ სამსახურეობრივ პოზიციაზე დასაქმების სურვილზე და მოქმედებს თუ არა წინარწმენის ემოციური ფაქტორი არასრულწლოვნებაში ნასამართლევი პირის დაბალ ან მაღალ პოზიციაზე აყვანის შემთხვევაში ნდობის ფაქტორზე. ლიტერატურის შესწავლისას ჩამოყალიბებული ჰიპოთეზები, რომ წინარწმენის ემოციური ფაქტორი არასრულწლოვნებაში ნასამართლევი პირის დაბალ ან მაღალ პოზიციაზე დასაქმების სურვილის და მათ მიმართ ნდობის დადებითი პრედიქტორია, კვლევის შედეგების მიხედვით გამართლდა.

წინამდებარე კვლევის შედეგების გათვალისწინება მნიშვნელოვანია ყოფილი პატიმრების რესოციალიზაციის პროცესისათვის, რადგან შესაძლოა დამსაქმებელმა პიროვნების წარსულიდან გამომდინარე გამოიტანოს დასკვნა და მიიღოს გადაწყვეტილება, თუმცა წარსულში ნასამართლევი ადამიანი ბევრად კომპეტენტური და პროფესიონალი კადრი იყოს ორგანიზაციისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვებია: არასრულწლოვნების ასაკში ნასამართლევი პირი, წინარწმენის ემოციური ფაქტორი, სამსახურში მიღება, ნდობა.

Abstract

Prejudice is always a problem for society. This issue is often the subject of research in relation to various aspects. Prejudice for different groups of people is a barrier in one or another area and these barriers may be visible or hidden.The aim of the present study is to find out the attitude of future employers towards ex-prisoners. The study describes the importance of the emotional factor of prejudice on the desire to hire people with past convictions and trust in them. The emotional attitude of prejudice is studied with a thermometer of feelings, and the factors of willingness to hire and trust are studied with relevant questions. It is also determined the attitude towards the low and high official position, how much a person convicted as a minor would be accepted in both a low and a high position, and the trust factor according to the same positions. Students of the Faculty of Business participated in the study as future employers (N=127). The research questions were: does the emotional factor of prejudice affect the desire to employ a person convicted of juvenile in a low or high official position, and does the emotional factor of prejudice affect the trust factor in the case of hiring a person convicted of juvenile to a low or high position. The hypotheses formed during the study of the literature, that the emotional factor of prejudice is a positive predictor of the desire to employ a person convicted as a minor in a low or high position and trust in them, were justified according to the results of the study. Considering the results of the present study is important for the process of resocialization of ex-prisoners, because the employer may draw a conclusion and make a decision based on the person's past, although a person convicted in the past is a much more competent and professional staff for the organization.

Keywords: person convicted as a minor, emotional factor of prejudice, admission to work, trust.